სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება № 205

2016 წლის 21 ოქტომბერი

ქ. თბილისი

სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის "გამოყენებითი კვლევებისთვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების" 2016 წლის საგრანტო კონკურსზე რეგისტრირებული პროექტების საბოლოო ქულის გამოთვლის წესის დამტკიცების შესახებ

"გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის N85 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-9 მუხლის მე-7 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის "ე" ქვეპუნქტის, „გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2016 წლის კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობების და საკონკურსო განაცხადის ფორმების დამტკიცების შესახებ" სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2016 წლის 21 აპრილის N77 ბრძანებით დამტკიცებული გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2016 წლის კონკურსის პირობების მე-8 მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო გრანტებისა და პროგრამების უზრუნველყოფის, შეფასებისა და ანალიზის დეპარტამენტის უფროსის მოადგილის ნინო გაჩეჩილაძის სამსახურებრივი ბარათის (N 1264797, 21.10.2016) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის "გამოყენებითი კვლევებისთვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების" 2016 წლის საგრანტო კონკურსზე რეგისტრირებული პროექტების საბოლოო ქულის გამოთვლის წესი თანდართული დანართის შესაბამისად

2. დაევალოს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში: ფონდი) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ამ ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება
3. ბრძანება ძალაშია ფონდის ვებგვერდზე გამოქვეყნების შემდეგ
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6).

მარინე ჩიტაშვილი

დანართი
დამტკიცებულია სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული
სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის
2016 წლის 21 ოქტომბრის N 225 ბრძანებით

2016 წლის გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსზე რეგისტრირებული პროექტებისათვის შეფასების საბოლოო ქულის გამოთვლის წესი

1. პირველ საფეხურზე გამოყენებითი კვლევებისათვის 2016 წლის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსზე რეგისტრირებული პროექტების შეფასება ხორციელდება მინიმუმ 2 დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ.
2. თითოეული პროექტისათვის გამოითვლება ექსპერტთა მიერ მიღებული შეფასებების საშუალო არითმეტიკული.
3. თითოეული პროექტისათვის ექსპერტთა შეფასებების საშუალო არითმეტიკული წარმოადგენს შეფასების პირველი საფეხურის ქულას.
4. ყველა პროექტი, რომლის პირველი საფეხურის ქულა მეტია ან ტოლია 43-ის გადადის შეფასების მეორე საფეხურზე.
5. შეფასების მეორე საფეხურზე მიღებული ქულა ემატება შეფასების პირველ საფეხურზე მიღებულ ქულას.
6. შეფასების პირველ და მეორე საფეხურზე პროექტის შეფასების ქულათა ჯამი წარმოადგენს პროექტის საბოლოო ქულას.